ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 43. კვირა, 27 ივნისი 1910 წ. დამატების № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული მეგობარი

ოსკარ უალდისა.

(დასასრული *)

— სულ გავამსო? — ცოტა დალონდა პატარა განსი. კალათი ძალიან მოზრდილი იყო და განსმა იცოდა, ის რომ გაევსო, გასაყიდად ყვავილები აღარ დარჩებოდა. განსს კი თავისი ვერცხლის ღილების დაბრუნება ძალიან უნდოდა.

— ღმერთმანი, — განაგრძო მეწისქვილემ, — ჩემის აზრით, შემიძლიან ხელ-ურემაში ცოტა ყვავილები გთხოვო. იქნება ვცდები, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მეგობრობა, ნამდვილი მეგობრობა სრულიად თავისუფალია ყოველგვარი ეგოიზმიდგან.

— ჩემი ძვირფასო, ჩემო საუკეთესო მეგობარო! — შეჰყვირა განსმა, — სიხარულით მოგცემ ჩემი ბაღის ყველა ყვავილებს. მირჩევნია, თქვენი მოწონება დავიმსახურო, ჩემი ვერცხლის ღილების დაბრუნებას. — და დასჭრა რა ყველა თავისი ლამაზი ყვავილები, იმან ჩაალაგა სულ მეწისქვილის კალათში.

— მშვიდობით, პატარა განსო, — უნდომლად ჩაილაპარაკა მეწისქვილემ და თავისს ალმართს შეუდგა. იმას ედო ზურგზედ ფიცარი და ხელში ყვავილებით სავსე კალათა ეჭირა,

— მშვიდობით ბრძანდებით! — უპასუხა განსმა და მხიარულად განაგრძო მიწის ბარვა: ხელ-ურემა ძალიან ახარებდა მასა.



ვლადიმერ ბეჟანისძე ლოლთქიფანიძე.

გარდაიცვალა 1909 წ. 27 ივნისს.

მეორე დღეს განსი ჩვეულებრივ თავისს ბაღში მუშაობდა და ყვავილებისთვის თოკებს აბავდა, როცა მეწისქვილის ხმა შეესმა. იქვე გზიდან უძახოდა. ბავშვი საჩქაროდ კიბიდგან ჩამოხტა, გაიქცა ბაღის მეორე ბოლოში და ღობეს გადაეწოდა.

იქ იდგა ზურგზედ დიდი ფქვილის ტომარა აკიდებული მეწისქვილე.

— პატარა, კარგო განსო, — უთხრა იმან, — ჩემს მაგივრად ამ ტომარას ბაზარში ვერ ჩაიტან?

— ოჰ, ძალიან მწყინს, — უპასუხა განსმა, — რომ თქვენი სურვილის ასრულება არ შემიძლიან, იმდენი საქმეები მაქვს დღესა: უნდა მთელი ჩემი ხვეული მცენარეები მივამაგრო, ბალახი გამოვმარგლო და ყველა ყვავილები მოვრწყო.

— მაინც იმის შემდეგ, — სთქვა მეწისქვილემ, — რაც ხელ-ურემას დაგპირდი, მეგობრულად ვერ იქცევი, უარს მეუბნები.

— ო, მაგას ნუ მეტყვით! ეგრე არა მეგობრულად მოქცევას არას გზით არ დავთანხმდები, — და პატარა განსმა სწრაფად დაიხურა ქუდი, აიკიდა დიდი ტომარა და გაუდგა ბაზრისაკენ მიმავალ გზას.

ცხელი დღე იყო, გზა მტვრიანი, და პატარა განსმა ვერ შესძლო ექვსი მილის გავლა, ძალიან დაიღალა და უნდა დაესვენა. მაინც როგორც იყო თამამად განაგრძო გზა და ბოლოს მივიდა ბაზარში. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვმა კარგს ფასად გაჰყიდა ფქველი და მაშინვე დაბრუნდა სახლში, რომ გზაში არ დაჰგვიანებოდა და ავაზაკებს ფული არ წაერთვათ.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ძალიან ძნელი დღე იყო, — გაიფიქრა განსმა, როცა ლოგინში წვებოდა, — მაინც მოხარული ვარ, რომ მეწისქვილეს უარი არ ვუთხარი, რადგანაც ის ჩემი საუკეთესო მეგობარია, და ამის გარდა თავისს ხელ-ურემასაც მაჩუქებს.

მეორე დღეს დილით ადრე მეწისქვილე ფულებისთვის მოვიდა, მაგრამ წინადღის ჯაფით დაღალულ განსს ისევ ეძინა.

— ღმერთსა ვფიცავ ძალიან ზარმაცი ხარ, — უთხრა მეწისქვილემ, — ჩემი ხელ-ურემა რომ გაჩუქე, უნდა უფრო მუყაითად გემუშავნა. სიზარმაცე დიდი ნაკლულევანებაა და, რასასვირველია, არ მინდა, ჩემი რომელიმე მეგობარი ზარმაცობდეს და ძილი უყვარდეს. ჩემი გულ-ახდილობა არ უნდა გეწყინოს. შენი მეგობარი რომ არ ვიყო, რასაკვირველია ყველა ამას არ გეტყოდი. მაშ რაღა სარგებლობა აქვს მეგობრობას, თუ რასაცა ფიქრობ, იმის თქმაც კი არ შეგიძლიან. სასიამოვნო და პირმოთნე-ალერსიანი ლაპარაკი ყველას შეუძლიან, და მხოლოდ ერთგული მეგობარი ამბობს არა-სასიამოვნოს, და ყურს არ უგდებს, რომ შეიძლება ამით აწყენინოს. და თუ ის ნამდვილი მეგობარია, ამ უსიამოვნო გზას არჩევს, დარწმუნებული, რომ ამით სარგებლობას მოუტანს.

— ძალიანა მრცხვენიან, — სთქვა პატარა განსმა და ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, — მაგრამ გუშინ ისე დავიღალე და თან ძალიან მინდოდა ცოტა კიდევ ვწოლილიყავ და ყური მეგდო ფრინველების გალობისთვის. იცით, იმათ რომ ყურს ვუგდებ, მერე როგორღაც უფრო კარგადა ვმუშაობ ხოლმე.

— ეგ კი მიხარიან, — მხარზედ ხელის დარტყმით უთხრა მეწისქვილემ, — მეც სწორედ ჩემს წისქვილში მინდა წაგიყვანო, რომ საბძელს სახურავი გაუკეთო. აბა, ჩქარა ჩაიცვი.

საწყალი პატარა განსი თავისს ბაღში მუშაობას ეშურებოდა: აგერ ორი დღეა ყვავილები არ მოერწყო, მაგრამ თავისი საუკეთესო მეგობრის-მეწისქვილის წყენინება არ უნდოდა.

— თქვენა ფიქრობთ, არა მეგობრულად მოვიქცევი დროს უქონლობის გამო უარი რომ გითხრათ? — შეეკითხა ის მოკრთალებისა და დარცხვენილი ხმით.

— ღმერთმანი, მგონი ბეცს არა გთხოვ, — უპასუხა მეწისქვილემ; — იმის შემდეგ რაც ჩემს ხელ-ურემას დაგპირდი; მაგრამ რასაკვირველია, თუ შენ უარს ამბობ, წავალ და მე თითონ გაეაკეთებ.

— არა, არას დროს, — წარმოსთქვა განსმა, წამოხტა ლოგინიდგან, ფიცხლავ ტანთ გადიცვა და მეწისქვილის საბძლის შესაკეთებლად წავიდა.

მთელი დღე იმუშავა, მზის ჩასვლამდე. საღამოთი მეწისქვილე მივიდა დაეხედნა, თუ როგორ მიდის მუშაობა.

— აბა, განსო, ხომ კარგად გააკეთე საბძლის სახურაყი? — შესძახა მეწისქვილემ მხიარულად.

— სულ გავათავე, — უპასუხა ბავშვმა და კიბეზედ ჩამოვიდა.

— ახ, — სთქვა მეწისქვილემ, — იმაზედ სასიამოვნო არაფერია, როცა სხვისთვის შრომობ.

— რასაკვირველია, თქვენი ლაპარაკის ყურის გდებაც ძალიან დიდი უფლებაა, — უპასუხა პატარა განსმა, ჩამოჯდა იქვე და დაიწყო შუბლიდან ოფლის წმენდა, — ესეც ძალიან დიდი უპირატესობაა; ვწუხარ, რომ თქვენისთანა მშვენიერი აზრები არასოდეს არ მექმნება.

— ოჰ, ამას ჯერ კიდევ შეითვისებ, — უთხრა მეწისქვილემ, — მაგრამ შენ უნდა ამაზედ იზრუნო. ეხლა მხოლოდ მეგობრობის პრაქტიკა გაქვს, ოდესმე თეორიასაც შეიძენ.

— ვითომ აგრე იყოს? — ჰკითხა პატარა განსმა.

— ამის ეჭვიც არა მაქვს, — უპასუხა მეწისქვილემ. — ეხლა კი, საბძელი რომ შეაკეთე, შენთვის უმჯობესი იქნება სახლში წახვიდე და დაისვენო, — ხვალ უნდა ჩემი ცხვრები მთებში წაასხა.



ნიკოლოზ ბესარიონისძე ღოლობერიძე.

(ქართულ სტამბის 200 წ. არსებობის გამო)

„ვენის“ შრიფტის შემომღები. 1866 წლამდის გაზეთები და წიგნები ძველი ნუსხური შრიფტით იბეჭდებოდა. ეს დიდ ალაგსაც იჭერდა და შნოც ნაკლები ჰქონდა. 1866 წ. ღირს შესანიშნავია ქართულ სტამბის არსებობაში. ნიკოლოზ ბესარიონისძემვენაში ჩამოასხმევინა ვენის შრიფტი, რომლითაც წიგნები იბეჭდება ეხლა, და პირველად შემოიღო ხმარებაში. მას აქვთ ამ შრიფტმა პირველი ადგილი მოიპოვა. თუმცა გაუმჯობესება ამ შრიფტსაც ესაჭიროება, მაგრამ ჯერ ჯეროვნით ეს შრიფტია ხმარებაში.

საწყალი პატარა განსი ვერაფრის თქმას ვერა ბედავდა. მეორე დღეს მეწისქვილემ შეჰკრიბა თავისი სახლის გარშემო ცხვარი და განსი გაჰყვა მათ მთებში, საიდგანაც მხოლოდ გვიან საღამოთი დაბრუნდა ისეთი დაღალული, რომ ჩამოცდა თუ არა სკამზედ, ჩაეძინა და ასე ეძინა განთიადამდე.

— რა კარგად ვიმუშავებ დღეს ჩემს ბაღში, — გაიფიქრა იმან გამოღვიძებისას და მაშინვე მუშაობას ხელი მიჰყო.

მაგრამ ვერც ეხლა შესძლო ხეირიანად მუშაობა, რადგანაც მისი მეგობარი მეწისქვილე ხშირ-ხშირად გზავნიდა სადმე ან წისქვილში იშველიებდა. საწყალი პატარა განსი ძალიანა სწუხდა თავისს დავიწყებულ ყვავილებზედ, მაგრამ გულს იმით ინუგეშებდა, რომ მეწისქვილე მისი საუკეთესო მეგობარი იყო.

ასე განაგრძობდა განსი მეწისქვილისთვის მუშაობას, მეწისქვილე კი მაღალი სიტყვებით ადიდებდა მეგობრობაზედ. ყოველ მისს ნათქვამს განსი უბის წიგნში იწერდა და საღამოობით კითხულობდა ხოლმე, რომ დაესწავლა.

ერთხელ საღამოთი განსი ბუხარს მისჯდომოდა, როცა კარების ბრახუნი შემოესმა. ღამე ბნელი იყო, ქარი საზარლად ღმუოდა. ბავშვს ეს ბრახუნი ჯერ ქარის ხმად შეესმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბრახუნი განმეორდა; შემდეგ კიდევ და კიდევ და ბოლოს ატყდა განუწყვეტელი ხმაურობა.

— ალბად ვინმე საწყალი მგზავრია, — გაიფიქრა განსმა და კარის გასაღებად წავიდა.

კარებში იდგა მეწისქვილე ანთებული ფარნით ერთს ხელში და გრძელი ჯოხით მეორეში.

— კარგო, პატარა განსო, — უთხრა იმან, — დიდი მწუხარება მომადგა კარსა: ჩემი ბავშვი კიბიდგან ჩამოვარდა და ფეხი იტკინა. ექიმთან მივდივარ, მაგრამ ის ისე შორსა სცხოვრობს და ღამე კი ასე ბნელია. მე აზრად მომივიდა, შენ წახვიდე ჩემს მაგივრად. ხომ იცი, ჩემი ხელ-ურემას მოცემა მინდა და სულ უბრალო რიგიანობა გავალებს, შენც გამიკეთო რამე.

ოჯ ცეცხლ ზუა. — სურათი ბრედტისა.

— დიაღაც! — წამოიძახა განსმა, — ძალიან ვაფასებ, რომ სახელდობრ მე მომმართეთ და ემ საათშივე წავალ. მაგრამ თუ შეიძლება ფარანი მათხოვეთ, თორემ ღამე ისე ბნელია, რომ მეშინიან სადმე თხრილში არ გადავიჩეხო.

— ვწუხვარ, — უპასუხა მეწისქვილემ, — რომ არ შემიძლიან ფარნის თხოვება, რადგანაც ეს ჩემი ახალი ფარანია და ამას თუ რამე მოუვიდა, ძალიან დიდი საწყენი იქმნება ჩემთვის.

— მაშ კარგი, უმაგისოდაც წავალ, — დაეთანხმა პატარა განსი, წამოისხა თავისი თბილი პალტო, დაიხურა ტყავის წითელი ქუდი, შემოიჭვრა ყაბალახი ღა გზას გაუდგა.

ქარიშხალი საშინლად ჰბერდა. ღამე ისე ბნელი იყო, რომ განსი თვალწინ საგნებს ძლივს არჩევდა; ძლიერი ქარი თითქმის ფეხს აცლიდა. მაინც ის მამაცურად მოდიოდა წინა და სამი საათის სიარულის შემდეგ ექიმის სახლს მიაღწია და კარები დაუკაკუნა,

— ვინ არის? — დაიძახა ექიმ"ა და საძილო ოთახის ფანჯრიდგან თავი გადმოჰო.

— ეს მე ვარ, პატარა განსი, ბატონო ექიმო.

— მერე რა გინდა, პატარა განსო?

— მეწისქვილეს შვილი კიბიდგან გამოვარდა და დაიჩეხა, მეწისქვილე გთხოვთ ეხლავე მიბრძანდეთ იმათსა.

— კარგი! — უთხრა ექიმმა და უბრძანა შეეკაზმათ ცხენი და მოემზადებინათ იმისი დიდი წაღები და ფარანი. შემდეგ გამოვიდა სახლიდგან, შეჯდა ცხენზედ და მეწისქვილეს სახლისკენ გასწია. პატარა განსი კი უკან საცოდავად მიჩანჩალებდა.

ამასობაში ქარიშხალი უფრო ძლიერდებოდა, წვიმა ნიაღვარივით მოდიოდა, განსი ვერა ხედავდა, საით მიდიოდა, და ნელ-ნელა ჩამორჩა ცხენსა. ბოლოს გზაც აერია, მოჰყვა ღრმა-საფლობიან ჭაობს და დაიხრჩო შიგა. მეორე დღეს მეცხვარეებმა ნახეს დამხვრჩვალი განსი და სახლში წამოიღეს.

ყველა მეზობლები მოვიდნენ პატარა განსის დამარხვაზედ, რადგანაც ის ყველას ძალიან უყვარდა. უმთავრესი მგლოვიარე კი მეწისქვილე იყო.

— რადგანაც იმისი საუკეთესო მეგობარი მე ვიყავი, ამიტომ პირველი ადგილი მე მეკუთვნის, — გამოაცხადა იმან, მიდიოდა სამგლოვიარო პროცესიის თავში გძელი შავი ტანთ-საცმელით და დრო და დრო ხელსახოცით თვალებს იწმენდდა.

— პატარა განსის დაკლება ეხლა ყველას შეგვეტყობა, — სთქვა მჭედელმა, როცა დამარხვის შემდეგ ყველა გამცილებლები სუფთა სასტუმროში ისხდნენ და ღვინოსა და ტკბილეულობას შეექცეოდნენ.

— ჩემთვის მაინც ეგ დიდი დანაკლისია, — უპასუხა მეწისქვილემ, — დიაღ! ჩემს ხელ-ურემს დავპირდი კიდეც იმასა, და ეხლა აღარ ვიცი ის სად წავიღო. სახლში მხოლოდ ადგილს იჭერს, და თან იმისთანა მდგომარეობაში მოვიდა, რომ გაყიდვაზედ ფიქრიც კი არ შეიძლება. ეჭვს გარეშეა, ამას იქით აღარავის აღარაფერს ვაჩუქებ. შენი სიკეთისთვის ყოველთვის დაისჯები ხოლმე.

— მერე? — ჰკითხა ვირთაგვამ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— გავათავე, — უთხრა ჭვინტამ.

— მეწისქვილეს რაღა მოუვიდა? — ხელმეორედ ცნობისმოყვარეობით შეეკითხა წყლის ვირთაგვა.

— ჰო, ეგ კი აღარ ვიცი, — შეესიტყვა ჭვინტა, — და სწორედ გითხრა, არცა ვზრუნივ მაგაზედ!

— მაშასადამე ცხადია, რომ თქვენ ჭეშმარიტი თანაგრძნობა არ შეგძლებიათ, — გამოაცხადა ვირთაგვამ.

— ვშიშობ, რომ ამ ზღაპრის მორალს ვერ მოხვდით, — შენიშნა ჭვინტამ.

— როგორაო? — წამოიძახა ვირთაგვამ.

— მორალს.

— თქვენ გინდათ სთქვა, რომ ამ ისტორიას მორალი აქვს?

— რასაკვირველია, — უთხრა ჭვინტამ.

— სწორედ გითხრათ, თქვენ უნდა თავიდგანვე გემცნოთ ეგ ჩემთვის, — შენიშნა გაჯავრებულის ხმით ვირთაგვამ. თქვენ რომ აგრე მოქცეულიყავთ, მე რასაკვირველია ყურსაც არ დაგიგდებდით; მე კრიტიკივით მხოლოდ ვიტყოდი — „სისულელეა“. მაინც ეხლაც შემიძლიან ვთქვა! — და წამოიწრიპინა რა თავისი ხმის უმაღლესს ნოტებზედ „სისულელეა, სისულელე“! სწრაფად შეიქნია კუდი და თავისს სოროში მიიმალა.

— როგორ მოგწონთ წყლის ვირთაგვა? — ჰკითხა იხვმა, რომელიც ისევ იქვე დასცურავდა, — იმას ძალიან ფართო შეხედულება აქვს, მაგრამ რაც მე შემეხება, მთლად მშობლიური გრძნობებითა ვარ აღვსილი და დიპლომიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსწავლულის ისე დანახვა არ შემიძ_ლიან, რომ თვალთაგან ცრემლმა არ დამიწყოს დენა.

— ვშიშობ, რომ ვერ ვასიამოვნე, — უპასუხა ჭვინტამ, — საქმე იმაშია, რომ მას ვუამბე ისტორია მორალით.

— ოხ, ეგ ყოველთვის სახიფათოა ხოლმე სთქვა იხვმა.

და მეც მას სრულიად ვეთანხმები.

გ. ნამორაძე.

***

ჰხარობდა ერი: აწ კაცთა შორის
დიად სიყვარულს ფრთა გაეშალა,
უკვდავ შვენებას და სათნოებას,
ქვეყნისთვის მკერდი გარდაეშალა...

—:—

მაგრამ დაამხო მთის ქარიშხალმა:
კაცთა აღნაგი ძეგლი მაღალი,
სველად სამყაროს თავს დაატეხა,
რისხვა ზეციდამ გადმონავალი!..



№ 1.



№ 2.



№ 3.

ამერიკული საქონელი

ამ რამდენიმე თვის წინად ამერიკაში მოხდა შინაური საქონლის გამოფენა, რომელზედაც ჯილდო მიეცა ერთ ბუღას და ორ ძროხას (იხ. სურ.) ძროხები კარგი მეწველი არი.ნ. რძეც საუკეთესო თვისებისა—ნოყიერი. ძროხა № 3. იწველის დღეში 3 ფუთ რძეს. ამ ძროხების ორი დღის ხბო 8000 მან. იყიდება. ბუღა დაფასებულია 16.000 მან. ხოლო თითო ძროხა 12.000 მან.

ველზე

(მწარე მოგონება)

მახსოვს: ჰყვაოდი ერთხელ ნარნარად
გადაშლილ იყვნენ შენში ყვავილნი;
მყუდრო მიდამოს... ოცნებათ სადგურს
სურნელს აფრქვევდნენ გრძნობით აღვსილნი.

***

ცისა კამარას გარდაეხადნა
რიდე, მანტია სამგლოვიარო —
ჰკვნესდა ბულბული:—ფერად მიდამოს,
აღფრთოვანებდა ხმა სანეტარო...

***

აქვე მგოსანი გრძნობით მღეროდა,
და ჰანგი იგი სულს ამხნევებდა, —
მჭექრი სიმღერა თვით ლაჩარსაც კი:
ძალას მოჰბერდა, ასალკლდევებდა!

***

შენც გარდაიქმენ შავს ასპარეზად,
გარე მოგერტყა უკუნი ბნელი;
და შენვე შვილთა დასათრგუნავად,
შენზედ აღიგო წამების ძელი!

***

მასზედა აკრავს უძლური დედა,
მშობელ მკერდიდამ სისხლი თქრიალებს! —
შვილს: შუბლსა უმკობს ეკლის გვირგვინი,
მებრძოლ მაჯაზე ხუნდი ჩხრიალებს!..

***

და ეგრედ რბიან სიცოცხლის ჟამნი,
სულსა სიამე არ ეღირსება;
არსაით შვება, არსით ნუგეში,
მხოლოდ წამება... მხოლოდ კირთება!..

ს. ფაშალიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე", ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3